პირობები:

1. აუქციონის მონაწილეების მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ირიცხება შპს ივერია P.S.-ის საბანკო ანგარიშზე თუ:

აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ აუქციონში რეგისტრირებული პირები (რომლებმაც გადაიხადეს ბე ან/და წარმოადგინეს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია) არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში;

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;

ბ) აუქციონში გამარჯვებულმა პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულად არ გადაიხადა საპრივატიზებო თანხა;

გ) დაარღვია აუქციონში მონაწილეობის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით და წესით გათვალისწინებული პირობები.

2. აუქციონში გამარჯვებულთან ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდება აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

3. ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარულ დღეში აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება სრულად (გაყიდვის ფასს მინუს ბეს თანხა/საგარანტიო თანხა). ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4. საორიენტაციო ღირებულების გადახდის შემდეგ 5 კალენდარული დღის ვადაში აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს რეალიზებული ქონების დატვირთვა-გადმოტვირთვა, ტრანსპორტირება, აწონვა და გატანა. აწონვის დღეს მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ჯართის ზუსტი წონა და რეალური ღირებულება. მიღება-ჩაბარების აქტს დაერთვება წონის შესახებ ცნობა ან/და ქვითარი.

5. მყიდველი ვალდებულია ქონების მიღებამდე და/ან მიღების პროცესში, გამყიდველის წარმომადგენლის თანდასწრებით, მოახდინოს მისი აწონვა (სასწორი დაკალიბრებული უნდა იყოს საქართველოში აკრედიტირებული ლაბორატორიის მიერ (წარმოსადგენია შესაბამისი დოკუმენტი). რის შემდეგაც, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება ხელშეკრულების ღირებულება და მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში შევა შესაბამისი ცვლილება შეთანხმების სახით. აწონვის დროს წონის ზედმეტობის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ზედმეტობით გამოწვეული სხვაობის ღირებულება (შესაბამისი პროპორციით) ხელშეკრულებაში შეთანხმებით შესაბამისი ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში. გადაწონვის დროს წონის ნაკლებობის შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მყიდველს წონის ნაკლებობით გამოწვეული სხვაობის ღირებულება (შესაბამისი პროპორციით) ხელშეკრულებაში შეთანხმებით შესაბამისი ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში.

6. **ერთი კილოგრამი ფასის გამოთვლა მოხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:**

საწყისი ფასი	ბიჯი	გაყიდვის ფასი (ერთი ბიჯის შემთხვევაში)	ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება (ერთი ბიჯის შემთხვევაში)	საორიენტაციო წონა (კილოგრამი)	1 კგ ღირებულება (ერთი ბიჯის შემთხვევაში)
2000	**40**	**2040**	**2040**	**2500**	**2040/2500**

7. **გადაწონვის დროს წონის ზედმეტობის შემთხვევაში, მყიდველის მიერ დამატებით ანაზღაურება მოხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:**

ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება (ერთი ბიჯის შემთხვევაში) ლარი	საორიენტაციო წონა (კილოგრამი)	ზუსტი წონა (გადაწონვის შემდეგ, კილოგრამი)	ხელშეკრულების ღირებულება	მყიდველის მიერ დამატებით გადასახდელი თანხის ოდენობა
2040	**2500**	**2600**	**(2040/2500)x2600=2121.6**	**81.6 (2121.6-2040)**

8. **გადაწონვის დროს წონის ნაკლებობის შემთხვევაში, მყიდველის მიერ თანხის დაბრუნება მოხდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:**

ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება (ერთი ბიჯის შემთხვევაში)	საორიენტაციო წონა (კილოგრამი)	ზუსტი წონა (გადაწონვის შემდეგ, კილოგრამი)	ხელშეკრულების ღირებულება	გამყიდველის მიერ დასაბრუნებელი თანხა
2040	**2500**	**2400**	**(2040/2500)x2400=1958.4**	**81.6 (2040-1958.4)**

9. თუ მყიდველი არ შეასრულებს ზემოთ ხსენებული პირობების მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ წინაპირობებს მაშინ ,,მყიდველს“ დაეკისრება ჯართის მთლიანი სარეალიზაციო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. აუქციონში გამარჯვებულისთვის ქონების გაცემა იწარმოებს სამუშაო დღეებში, შეთანხმებით.

11. ქონების დათვალიერებისა და გატანის პროცესში, დაინტერესებული პირი ვალდებულია დაიცვას კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დადგენილი წესები.

12. ელექტრონულ აუქციონზე (ინტერნეტ-აუქციონი) გამოტანილ ქონებას არ მოყვება გარანტია.

13. აუქციონის ჩატარების სხვა პირობები: იხილეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 5 მაისის N103 ბრძანებით

დამტკიცებული "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი".